მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი – IV კლასი) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №19/01173003521-17 27.10.2017წ. განცხადება.

სამსახურის უფროსის მოადგილე გიორგი გეჯაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№3-19/01173003521-17

"04" 12 2017 წ

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, სექტორი – საბურთალო, დასახლება დიდი დიღომი I და III მ/რ-ებს შორის (საკ. კოდი №01.10.06.001.062) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი – IV კლასი) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №2253583 22.10.2015წ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ ქ. თბილისში, სექტორი – საბურთალო, დასახლება დიდი დიღომი I და III მ/რ-ებს შორის მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

ფასადები : +36.300 ნიშნულის ზემოთ დამატებით მოწყობილია სართული, რის ხარჯზეც გაზრდილია შიდა ფართი. შეცვლილია კარ-ფანჯრების რაოდენობა, ადგილმდებარეობა, გაბარიტები და ვიზუალი. შეცვლილია მოაჯირების ვიზუალი. ნაწილობრივ შეცვლილია აივნების გაბარიტი და რაოდენობა. ნაწილობრივ შეცვლილია ფასადების ღებვის ფერი. ფასადებზე დამატებით მოწყობილია კონდენციონერები და გამწოვი მილები.

„1-4" ფასადზე +0.00 ნიშნულზე დამატებულია ბაქნები. დასასრულებელია მოსაპირკეთებელი სამუშაოები.

„4-1" ფასადზე „4-3" მონაკვეთში დამატებულია სარეკლამო ბანერი.

„ე-ა" ფასადზე დამატებულია მცირე ზომის ფანჯრები და გამწოვი მილები. აღნიშნულ ფასადზე დასასრულებელია მოსაპირკეთებელი სამუშაოები.

ნაწილობრივ შეცვლილია „ბ-გ" მონაკვეთში კიბის საფეხურების რაოდენობა. შემცირებულია ლიფტის შახტების გაბარიტი. შიდა მონოლითურ კედლებში დამატებით მოწყობილია ღიობები. ნაწილობრივ შეცვლილია საკომუნიკაციო შახტების ადგილმდებარეობა, რაოდენობა და გაბარიტი. შენობაში დამატებით მოწყობილია რიგელები.

-3.000 ნიშნული: „4-4" ღერძის და „ა-ა" ღერძების მიმდებარედ გაუქმებულია კედლები და მოწყობილია „4-4" და „ა-ა" ღერძებზე, შესაბამისად ნაწილობრივ შემცირებულია ავტო-პარკინგის სართული. „2-1" მონაკვეთში „გ-გ" ღერძთან დამატებით მოწყობილია ლიფტის შახტა. გარე კედლებში დამატებულია ღიობები საკომუნიკაციო მილებისთვის. შეცვლილია პანდუსის კონფიგურაცია და ადგილმდებარეობა. შეცვლილია ეზოს კეთილმოწყობა, დამატებულია კაპიტალური კედლები და ლითონის მოაჯირები.

შეცვლილია მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი და გაზრდილია ფართობი.

ზ.ა.კ. VI-ე თავის, 83-ე, მუხლის ა.ს.კ. მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-5 პუნქტის "გ" ქვეპუნქტის, 99-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და საქართველოს მთავრობის 11.08.2005წ. №140-ე დადგენილების, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „კ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შპს „ემ ენდ ეს"-ს, ქ. თბილისში, სექტორი – საბურთალო, დასახლება დიდი დიღომი I და III მ/რ-ებს შორის (საკ. კოდი №01.10.06.001.062) მდებარე